ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 132

"24" მაისი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის მდებარე 3069 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.17.14.001.301) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3, მე-4 პუნქტების და მე-5 მუხლის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის მდებარე 3069 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.17.14.001.301) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №19.219.303 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის მდებარე 3069 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.17.14.001.301) გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით 42 000 (ოროცდაორი ათასი) ლარის ოდენობით, პრივატიზებაზე, ციალა ლობჟანიძის (პ/ნ: 25001016293) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ბროლოსანის ქ. №25-ში მდებარე 469 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.13.025.013) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე